დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ109. 109223201**

თარიღი:**16/11/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, 91-ე მუხლისა და ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (თანდართული), გამოქვეყნდეს საჯაროდ განსახილველად და განთავსდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე - www. dmanisi.gov.ge.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებული კითხვებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 2022 წლის 25 ნოემბრამდე, მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ.№41, საკრებულოს აპარატი (საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია -ტელ: 577 33 39 25).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ.ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი